სსიპ საქართველოს
კინემატოგრაფიის ეროვნული
ცენტრის დირექტორი

28 მარტი 2024

N 45

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კონკურსის „კანის 77-ე საერთაშორისო კინოფესტივალის კინობაზრობაზე ფილმის ჩვენების ხელშეწყობა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმებისთვის“ გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ

„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 07 აგვისტოს №3/256 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ს^6” ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის ,,თ” ქვეპუნქტისა და ,,საერთაშორისო და სხვა ქვეყნების ეროვნულ კინოფესტივალებზე, კონკურსებში და ჯილდოებზე საქართველოს სახელით წარსადგენი ფილმის/ფილმების შესარჩევი კომისიის მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 15 სექტემბრის №195 ბრძანებით დამტკიცებული წესის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2024 წლის 28 მარტს, გამოცხადდეს კონკურსი „კანის 77-ე საერთაშორისო კინოფესტივალის კინობაზრობაზე ფილმის ჩვენების ხელშეწყობა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმებისთვის“ და დამტკიცდეს საკონკურსო პირობები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

კობა ხუბუნაია

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი